პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 139 (18681) პარასკევი, 17 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელო

პარტიული ორგანიზაციისთვის

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი უოყადღებით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებას „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ და პლენუმის დადგენილებას.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით კიდევ უფრო განამტკიცონ პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, სახალხო პლენუმის მიერ დაყენებულ იმ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის კონკრეტულ გზებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ხელოვანთა წვლილიც იქნება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი უთოდ უდიდეს ადგილს დაიჭერს მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. იგი ჭეშმარიტად ნიშანსვეტი გახდება შრომიერი კომუნისტური პარტიის შემდგომი იდეოლოგიური მუშაობის გზაზე.

პლენუმის მასალებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში დასმული უამრავი საკითხი ჩვენი შემდგომი მოღვაწეობის საპროგრამო დოკუმენტებად უნდა იქცეს.

პლენუმის მასალებში აღნიშნული საბჭოთა კულტურის მიღწევები უნებურად გვახსენებს ქართული კულტურის წვლილს ამ საერთო წარმატებაში — მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში აღიარეს ეს ძირძველი კულტურა, რომელსაც ახალი სული შთაბერა კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალურმა, იდეოლოგიურმა პოლიტიკამ.

„ყველაფერი როდი გვაკმაყოფილებს ისეთ პოპულარულ ხელოვნებაში, როგორიც საესტრადო ხელოვნებაა. შეუძლებელია, მაგალითად, არ ვხედავდეთ, რომ ამ პოპულარობის ტალღაზე ზოგჯერ ამოტივტივდებიან ხოლმე მუსიკალური ინსამბლები საეჭვო პროგრამებით, რაც იდეურ და ესთეტიკურ ზიანს გვაყენებს“.— ვკითხულობთ პლენუმის მასალებში და ვგრძნობთ, რომ მართლაც მეტი მუშაობა გვმართებს ჩვენი ესტრადის მხატვრულ-იდეური დონის დასახვეწად, საერთოდ მუსიკალური ხელოვნების ახალ სიმაღლეზე ასაყვანად. აკი ი. ვ. ანდროპოვიც ამას მიუთითებს თავის სიტყვაში პლენუმზე:

...„პარტია გულგრილი ვერ იქნება ხელოვნების იდეური შინაარსისადმი. იგი დღეიადაგ წარმართავს ხელოვნების განვითარებას ისე, რომ ხალხის ინტერესებს ემსახურებოდეს“.

რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა შემდგომ მუშაობას ახალ სტიმულს მისცემს ეს ჭეშმარიტად ისტორიული პლენუმი.

ო. თაქთაქიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საქმით ვუპასუხებთ

ყოველი საბჭოთა ადამიანის, თითოეული მშრომელის გულისყური დღეს მიპყრობილია კრემლისაკენ, სადაც ჩვენი ცხოვრების წინსვლის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, თუ როგორ ზრუნავს კომუნისტური პარტია ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ახლა, როცა ჩვენი პარტია და ხალხი წყვეტენ არნახული მასშტაბის ამოცანებს, იდეოლოგიური მუშაობაც უნდა შეესაბამებოდეს ამ ამოცანებს. იმაზე თუ როგორ შეძლებენ დავრაზმოთ ხალხის სულიერი ენერგია, ავამაღლოთ მისი შრომითი და სოციალური აქტიურობა, ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, ჩვენი ცხოვრების წინსვლის დაჩქარება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ნათქვამია, რომ „ეკონომიკის სფეროში საკვანძო ამოცანაა შრომის ნაყოფიერების კარდინალური ზრდა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ მხრივ უმაღლეს მსოფლიო დონეს მივაღწიოთ. ტყუილად როდი მიიჩნდა ლენინს ეს საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვნად, ყველაზე მთავრად ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის“.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მშრომელები დღითი დღე აუმჯობესებენ თავიანთ საქმიანობას, უმატებენ შრომის ტემპს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას — ყოველივე ეს შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დასახულ ამოცანებს და დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს.

ვ. ჭემაშვილი,
თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ქარგალი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი.

შეფასება, რომელიც გვავალდებულებს

მაღალი შეფასება აღგვაფრთოვანებს, მაგრამ ამავე დროს ორმაგად გვავალდებულებს — ასეთია მთავარი დასკვნა, რომელიც ჩვენი რაიონის თითოეულმა კომუნისტმა გამოიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მასალების გაცნობისას. კანონიერი სიამაყის გრძნობით აღვიქვით ის ფაქტი; რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებაში აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნის პარტიის აბაშის რაიკომის, აგრეთვე ლატვიის ტალსის რაიკომისა და ესტონეთის ვილიანდიასა და პიარნუს რაიკომების გამოცდილებას ყურადსაღები ეწოდა. „თვით ცხოვრების მიერ შემოწმებული ასეთი გამოცდილება, — ნათქვამია მოხსენებაში, — უფრო ხშირად უნდა გამოვიყენოთ“.

გასაგებია, რომ ამ გამოცდილების განვითარებაში ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული. ინიციატორებს განსაკუთრებით ბევრს სთხოვენ, მაღალ დონეზე დგომა კი ზოგჯერ უფრო ძნელია, ვიდრე მისი მიღწევა. ექსპერიმენტის დაწყებიდან განვლილ თითქმის ათ წელიწადში აბაშის რაიონმა რვაჯერ ზედიზედ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახლა ძალზე მნიშვნელოვანია განვამტკიცოთ წარმატება, განვავითაროთ იგი. ამისათვის რაიონში არსებობს ყოველგვარი წანამძღვრები — ინტერესთა ერთიანობა, ადამიანთა შორის ახალ ურთიერთობათა დაფუძნება, საერთო მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის, ურთიერთ მიმართ მოთხოვნელობის გაზრდილი გრძნობა.

ახლა სიტყვა თითოეულ შრომითს კოლექტივს ეკუთვნის. მთავარია — არ დავთმოთ მიღწეული პოზიციები, კვლავაც უზრუნველვყოთ მარცვლეულის, ხორცის, რძის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმების სტაბილური დაჯაჭარებით შესრულება. ხოლო ამას რომ მივაღწიოთ, პარტიის რაიკომი კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით სრულყოფს იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის სტილსა და მეთოდებს.

როგორც პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, ჩვენი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი უნდა იყოს. ამით ვიხელმძღვანელებთ მუდამ, ვიმუშავებთ კიდევ უფრო შედეგიანად, პერსპექტივით.

რ. ღვინჯილია,
პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 16 ივნისი.

მშვიდობისათვის, ხალხის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

საბჭოთა ადამიანი — ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი წყვეტს მასშტაბითა და სიღრმეთით გრანდიოზულ ამოცანებს. პარტიის პოლიტიკას იგი აღიქვამს როგორც საკუთარს, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება.

ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვნად იწონებს ეს-ეს არის გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელზეც განიხილეს პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები. ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, პლენუმის სხვა დოკუმენტებში ყოველმხრივ, რეალისტურად არის გაანალიზებული არსებული მდგომარეობა, განსაზღვრულია საკვანძო ამოცანები, რომლებიც პარტიისა და ხალხის წინაშე დგას განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე.

კოლექტივიზმის, საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტასთან უშუალო წილნაყარობის გრძნობა, შრომისადმი პატიოსანი, შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტური ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი გახდა. საბჭოთა ადამიანებმა იციან: სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის რომ ზრუნავენ, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში, უპირისპირდები ა ნ იმპერიალისტური ძალების აგრესიულ კურსს, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ ისტორიული პროგრესი, შეანელონ რეალური სოციალიზმის — ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების მთავარი ბურჯის მზარდი გავლენა.

16 ივნისს მოსკოვში დიდი პოლიტიკური აღმავლობისა და საქმიანობის ვითარებაში დაიწყო მუშაობა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ.

დილის 10 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები.

შეკრებილებმა პატივი სცეს სესიებს შორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების ა. ი. პელშეს, ტ. ი. კისელიოვის, ე. კ. ილტენერის, ვ. თ. მიცკევიჩის, ვ. ვ. პრიშვეიჩიკის ხსოვნას.

პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე მოისმინეს სამანდატო კომისიათა მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ. მოხსენებანი გააკეთეს კომისიათა თავმჯდომარეებმა: კავშირის საბჭოში — კ. ხ. **დემირჩიანმა,** ეროვნებათა საბჭოში — ა. გ. **კორკინმა.** მოხსენებათა გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

პალატების სხდომებზე ერთხმად დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.

2. ზოგიერთი ცვლილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

3. საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა.

4. შრომითი კოლექტივებისა და სოციალისტური საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები.

შეკრებილებმა პატივი სცეს სესიებს შორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების ა. ი. პელშეს, ტ. ი. კისელიოვის, ე. კ. ილტენერის, ვ. თ. მიცკევიჩის, ვ. ვ. პრიშვეიჩიკის ხსოვნას.

პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე მოისმინეს სამანდატო კომისიათა მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ. მოხსენებანი გააკეთეს კომისიათა თავმჯდომარეებმა: კავშირის საბჭოში — კ. ხ. **დემირჩიანმა,** ეროვნებათა საბჭოში — ა. გ. **კორკინმა.** მოხსენებათა გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

პალატების სხდომებზე ერთხმად დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.

2. ზოგიერთი ცვლილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

3. საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა.

4. შრომითი კოლექტივებისა და

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს თქვენს განსახილველად შემოაქვთ წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის **(მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციები. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ეს საკითხი განიხილა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. სრული ერთსულოვნების ვითარებაში პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა ერთხმოვნად დაიკავოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი. **(ხანგრძლივი ტაში).**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კომუნისტური პარტიის მზარდი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა ადამიანების მიერ და საზღვარგარეთ სავსებით სამართლიანად აღიქმება პარტიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტის განუყოფლობის დადასტურებად, პარტიისა და ხალხის გონებისა და ნების ერთიანობის გამოხატულებად.

ი. ვ. ანდროპოვის მიზანსწრაფულმა, ენერგიულმა და ინიციატივიანმა მოღვაწეობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე, მისმა საქმიანმა და ადამიანურმა თვისებებმა, გამოცდილებამ და პოლიტიკურმა სიბრძნემ მოუპოვა მას საყოველთაო პატივისცემა, პარტიისა და ხალხის ნდობა და სიმპათიები. მისი სახით საბჭოთა კომუნისტები, ყველა მშრომელი, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები ხედავენ ლენინური ტიპის გამოჩენილ ხელმძღვანელს.

ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობასთან განუზრელად არის დაკავშირებული პარტიისა და ხალხის ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსის შემკვიდრეობითობა, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების შემდგომი სრულყოფის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ღონისძიებანი, რომლებმაც საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურა.

ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობასთან განუყოფელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე და თანამიმდევრული გეზი, რომლის მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, მოვლენათა განვითარების შემობრუნება დაძაბულობის შენელების, თერმობირთვიული კატასტროფის თავიდან აცილებისაკენ. ი. ვ. ანდროპოვი ავტორიტეტიანად წარმოადგენს ამ ხაზს მსოფლიო ასპარეზზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის არჩევა სამსახურს გაუწევს ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ შინაარსდასახულობათა წარმატებით შესრულებას, კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, თქვენს განსახილველად შემოვიტანო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შემდეგი პროექტი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ“. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

* * *

დეპუტატები ერთხმად იღებენ დადგენილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას დეპუტატებმ და სესიაზე მყოფი სტუმრები მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს.**

დამსწრენი ფეხზე დგებიან და ტაშით მიესალმებიან მას.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მიბოძეთ, სულითა და გულით მხურვალე მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც გამიწევთ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამირჩიეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენს ნდობას მივიჩნევ ნდობად ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიისადმი, რომლის წევრი უკვე 40 წელზე მეტი ხანია ვარ და რომლის იდეალების ერთგულად მივიჩნევ თავს.

ნება მიბოძეთ, აღგითქვათ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე მთელ ჩემს ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმარ იმას, რომ პირნათლად გავამართლო თქვენი დიდი ნდობა. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

სესიის მონაწილეთა ტაშის გრიალში თავმჯდომარემ ყველა დეპუტატის სახელით გულითადად მიულოცა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევა და ახალი დიდი წარმატებანი უსურვა მრავალმხრივ პარტიულ და სახელმწიფო საქმიანობაში.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს დეპუტატები **ნ. ნ. ხლოფუნკოვი, ვ. ფ. მიშინი.**

სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი ი. გ. კვბინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან, დეპუტატი ბ. ნ. პასტუხოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

უმაღლესი საბჭო შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას.

მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ.** შემდეგ დაიწყო კამათი.

ორატორებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობის მიზანია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მშვიდობისა და სოციალისტური პროგრესის პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელება საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხის განხილვისას

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“, **აღნიშნავს:**

მთლიანად და სავსებით იქნეს მოწონებული სსრ კავშირის მთავრობის საქმიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის პრაქტიკული განხორციელებისათვის;

მოწონებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების პრინციპული დებულებების რეალიზაციის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგში ეფექტიან მორიგებათა მიღწევა, კონფლიქტების არსებული კერების ლიკვიდაცია და ახალი კერების წარმოქმნის თავიდან აცილება, ყველა სახელმწიფოსთან, მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად, თანასწორუფლებიანი მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად იწონებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ ხათანადო დონეზე იყოს საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მოკავშირეების უშიშროება, რაც ხორციელდება მსოფლიოში რეალურად შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით. ამ ღონისძიებათა მიზანია შენარჩუნებულ იქნეს ძალთა არსებული ბალანსი; რომელიც ახლანდელ პირობებში ბირთვული ომის გაჩაღების წინააღმდეგ საიმედო გარანტია.

თანამედროვე მწვავე საერთაშორისო ვითარებაში ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, დავუბრუნდეთ დაძაბულობის შენელების გზას, განვამტკიცოთ მშვიდობა. ამას ბევრად შეუწყობდა ხელს ის, თუ ყველა სხვა ბირთვული სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ, იკისრებდა ვალდებულებას პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი, აგრეთვე ის, თუ განხორციელდება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების წინადადებანი იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნებსა და ნატოს ქვეყნებს შორის დაიდოს ხელშეკრულება საომრედრო ძალის გამოუყენებლობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვის შესახებ.

ახლანდელი მომენტის ერთ-ერთი ყველაზე საარსებო ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოეღოს ბირთვული შეიარაღების ზრდას. თუ ეს საკითხი გადაწყდა, ეს დიდი წვლილი იქნება იმ საშიშროების შემცირებაში, რომელიც ხალხებს ელით.

ითვალისწინეს რა ამას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ავალებს საბჭოთა მთავრობას მიმართოს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს წინადადებით, რომ ყველა ბირთვულმა სახელმწიფომ ერთდროულად გაყინოს ამ ქვეყნებში არსებული ბირთვული შეიარაღება რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით. ასეთი გაყინვა თავდაპირველად შეიძლებოდა შეხებოდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს გარკვეული, შეთანხმებული თარიღიდან, ოღონდ დანარჩენი ბირთვული სახელმწიფოებიც ანალოგიურად უნდა მოიქცნენ.

ბირთვული არსენალების შემადგენელი ყველა კომპონენტის გაყინვა მკვეთრად აამაღლებდა ნდობის დონეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომლებსაც ბირთვული იარაღი აქვთ, შეესაძლებელს გახდიდა მსოფლიოში საერთო ატმოსფერო მტკიცედ შემობრუნებულიყო გაჯანსაღებისაკენ.

ბირთვული შეიარაღების შეწყვეტა იქნებოდა ეფექტიანი და შედარებით ადვილად განსახორციელებელი აქცია, მისი შემდგომი შემცირების, საბოლოო ანგარიშით — სრული ლიკვიდაციის ამოსავალი პუნქტი. ეს უფრო ხელშემწყობ ვითარებას შეუქმნიდა ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების, აგრეთვე ევროპაში ბირთვული შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მიმდინარე მოლაპარაკებებზე თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის შესაბამისად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები და მთავრობები პასუხისმგებლურ, კონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებენ ბირთვული შეიარაღების გაყინვის შესახებ წინადადების მიმართ და გამოიჩენენ პოლიტიკურ ნებას, რათა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის ინტერესებისათვის გაირღვეს გამალებული შეიარაღების ის მანკიერი წრე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წ. 16 ივნისი.

საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება

ა. ა. გრომიკო მიმართა ი. ვ. ანდროპოვს და თქვა:

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთსულოვნად არჩევა და გისურვოთ წარმატებები თქვენს საპატიო და პასუხსაგებ მოღვაწეობაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მოგანდეს თქვენ ეს პოსტი იმ სრული რწმენით, რომ თქვენ, როგორც პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ღრმა პატივისცემითა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობთ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, თავს გაართმევთ ახალ მოვალეობებს, რომლებსაც გაკისრებთ დღეს მიღებული გადაწყვეტილება.

საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხები, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ჩვენი კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა ადამიანებს მუდამ ღრმად აინტერესებდათ და ახლაც აინტერესებთ როგორია საგარეო პირობები, რომლებშიც მათ უწდებათ ცხოვრება და შრომა.

ორატორმა დამსწრეთ მოახსენა, თუ როგორ აფასებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ძირითად ტენდენციებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, როგორია ყველაზე აქტუალური საგარეოპოლიტიკური პრობლემები, რომლებსაც ახლანდელ ეტაპზე ვწყვეტთ.

საერთაშორისო მოვლენათა განვითარება განისაზღვრება, თუ მთავარს გამოვყოფთ, ორი გეზის დაპირისპირებით: ერთია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, მეორე, საწინააღმდეგო, — მისი საფუძვლების შერყევა. საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები, სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა, მათ შორის იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც სხვა საზოგადოებრივ წყობილებას განეკუთვნებიან, უყოყმანოდ უჭერენ მხარს მშვიდობას.

რამდენჯერ მისალმებია მსოფლიო საბჭოთა კავშირის მკაფიო, მშვიდობისმოყვარული ძალით აღსავსე აქციებსა და წინადადებებს! სწორედ საბჭოთა საგარეოპოლიტიკურმა ინიციატივებმა შთაბეჭა სული მთელ რიგ მასშტაბურ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. 60-იან და 70-იან წლებში დადებული ეს ხელშეკრულებები დღესაც ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგებებს სტრატეგიული შეიარაღების დარგში, რომლებიც მიღწეულია მანამ, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებოდა ახლანდელი ადმინისტრაცია.

წლითიწლობით საბჭოთა წინადადებების ბაზაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იღებენ დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ მსოფლიოში საერთაშორისო ვითარებაზე დადებითი ზემოქმედების ძლიერ შუხტს.

ჩვენ საერთო-ევროპული პროცესის განგრძობის საქმის ერთგული ვართ. სწორედ ამ პოზიციიდან მოქმედებს სსრ კავშირი მადრიდის შეხვედრაზეც, ცდილობს რა მიაღწიოს, რომ იგი დამთავრდეს მორიგებით ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებისა და განიარაღების თაობაზე კონფერენციის მოწვევის შესახებ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ახლა აკავშირებთ იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა სერია, რომლებიც ურთიერთობის სრულიად სხვადასხვა სფეროებს მოიცავენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკაში განსაკუთრებული, პრიორიტეტული ადგილი ეკავა მუდამ და კვლავაც დაიკავებს სოციალიზმის ქვეყნებთან ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმე. საბჭოთა კავშირი განუხრელად განამტკიცებს მათთან მჭიდრო ყოველმხრივ კავშირურთიერთობას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე. აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკურ ინტეგრაციასა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში. თანამეგობრობის ქვეყნები ნაყოფიერად ურთიერთმოქმედებენ ცხოვრების ყველა დარგში. მათ ძმურ კავშირს განსახიერებენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ორმხრივ ხელშეკრულებათა სისტემა.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გარდა ძმური თანამშრომლობის ურთიერთობას ვავითარებთ მონღოლეთთან, კუბასთან, ვიეტნამთან, ლაოსთან, კამპუჩიასთან.

კვლავ მტკიცდება ჩვენი კავშირი იუგოსლავიასთან. სოლიდარობას ვუცხადებთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას სამშობლოს მშვიდობიანი, დემოკრატიული გაერთიანებისათვის.

საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, კვლავაც მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას ნაცვალგებს საფუძველზე, ორმხრივი კავშირურთიერთობისა და კონტაქტების თანდათანობითი გაფართოების შესაძლებლობათა ძიებას. ჩვენ მომხრე ვართ გაგრძელდეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის დაწყებული პოლიტიკური კონსულტაციები და გვინდა, რომ მათ დადებითი შედეგები მოჰყვეს. დარწმუნებული ვართ, რომ ორივე ქვეყნის ხალხების ძირეულ ინტერესებს შეესაბამება ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება.

სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართავენ პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მტრულ მოქმედებას, ახორციელებენ იდეოლოგიურ დივერსიებს, ძირგამომთხრელ აქციებსა და იყენებენ სხვა ხერხებს, რომლებიც დაუშვებელია სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში. ეს განსაკუთრებთ თვალსაჩინოდ ვლინდება დასავლეთის პოლიტიკაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

პოლონეთი, როგორც ხაზს უსვამს მისი ხელმძღვანელობა— ეს არაერთგზის განუცხადებიათ მის მოკავშირეებსაც — ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებსაც, — იყო და კვლავ იქნება სოციალისტური თანამეგობრობის განუყოფელი ნაწილი.

„ჩვენი ქვეყნების დღევანდელ დღეს რომ ვაფასებთ, კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, — აღნიშნავს ი. ვ. ანდროპოვი, — სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობა — ეს არის ძლავრი, ჯანსაღი ორგანიზმი, რომელიც უდიდეს და სასიკეთო როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში“.

მშვიდობის, საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ჩვენს მტკიცე კურსს უპირისპირდება აგრესიული იმპერიალისტური ძალების პოლიტიკა. ეს პოლიტიკა წარმოადგენს უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ვითარების სერიოზული გამწვავების წყაროს, ვითარებისა, რომლის დაძაბულობის დონე ზოგჯერ საშიშ ზღვარს აღწევს.

ეს იმის შედეგად ხდება, რომ ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის კაპიტალის ბოგიერაზე ახლა აღმოჩნდნენ აშკარად გამოხატული იმპერიული ამბიციების მქონე ურთიერთვალდებულებას არ გამოიყენონ არავითარი იარაღი, — არც ბირთვული, არც ჩვეულებრივი.

ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკება და კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ნატოს ქვეყნებს სერიოზულად მოეკიდონ ჩვენს ინიციატივას.

მათი რეაქცია, რომელსაც შეიცავს ნატოს საბჭოს ივნისის სესიის კომუნიკე, გვიჩვენებს, რომ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ან არ სურთ შეიგნონ, ჯანსაღების მხარისაკენ რა მძაფრად შეტრიალდებოდა ვითარება ევროპასა და მთელს მსოფლიოში, რომ შევთანხმებულყავით ქვეყნების ორ დაჯგუფებს შორის ძალის გამოუყენებლობაზე.

დღეს საბჭოთა ინიციატივები და წინადადებები შეადგენს ღონისძიებათა ყოვლისმომცველ პროგრამას — შეიარაღების შეზღუდვის დარგში ცალკეული ნაბიჯებით დაწყებული და საყოველთაო და სრული განიარაღებით, მათ შორის ბირთვული იარაღის სრული აკრძალვითა და მოსპობით დამთავრებული.

სსრ კავშირს არაერთხელ გაუცხადებია და კვლავ აცხადებს, რომ ახლანდელ ვითარებაში უგუნურება იქნება, ვინმემ სამხედრო უპირატესობის მოპოვების იმედი იქონიოს. სსრ კავშირი ამას არ ესწრაფვოდა და არც ესწრაფვის. ჩვენ არც სხვებისთვის ვცნობთ სამხედრო უპირატესობის უფლებას.

პასუხისმგებელი, მით უმეტეს სახელმწიფოთა პოლიტიკის საქმესთან მდგომი მოღვაწეებისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ არ არის სხვა იმაზე გონივრული გზა, ვიდრე ეძებო და გამონახო ურთიერთმისაღები გადაწყვეტანი. მხოლოდ ასეთი გზაა საიმედო.

მთავარი პირობაა აწარმოო პატიოსანი მოლაპარაკება, არ ცდილობდე პარტნიორის მოტყუებას, არ ცდილობდე სიცრუის სამართლად გასაღებას და პირიქით. შეთანხმებებს საფუძვლად უნდა ედოს თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი. ამ პრინციპს საბჭოთა კავშირი არ გადაუშვებს.

ჩვენ, და კარგი იქნება, თუ ვაშინგტონში ამას შეიგნებენ.

სულ უფრო ცხადი ხდება, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაცია ადგას არა მორიგებათა მიღწევის, არამედ სტრატეგიული შეიარაღების ზრდის საკუთარი პროგრამების რეალიზაციის დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი რაკეტების განლაგების კურსს.

ეს კურსი გარკვევით ჩანს განცხადებებიც, რომელიც მიღებულია მაისის დამლევს ვილიამსბურგის შეხვედრაზე, ნატოს საბჭოს ეს-ეს არის დამთავრებულ სესიაზე მიღებულ კომუნიკეშიც.

სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროების ინტერესები გვაიძულებს განვახორციელოთ, როგორც ეს საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა 28 მაისის განცხადებაში, საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საპასუხო ღონისძიებანი. მაგრამ ეს იძულებითი ღონისძიებანია. მათი ერთადერთი მიზანი ის არის, რომ არ დაეშვათ ძალთა შექმნილი ბალანსის დარღვევა.

ჯერ კიდევ გვიან არ არის შევიჩეროთ საერთაშორისო მდგომარეობის საშიში განვითარება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირენი გამოეხმაურებიან სსრ კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს.

თავდაპირველად გონივრული იქნებოდა შევთანხმებულიყავით თუნდაც იმაზე, რომ შევაჩერთო ბირთვული იარაღის შემდგომი დაგროვება, გავყენოთ რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით მხარეთა ბირთვული არსენალები. ასეთი, კაცმა რომ თქვას, ადვილად განსახორციელებელი და ამავე დროს ეფექტიანი ღონისძიება უფრო ხელშემწყობ პირობებს შეუქმნიდა მოლაპარაკების წარმოებას.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ უნდა განახლდეს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან ბირთვული იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების შემუშავებისათვის.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებანი ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით ბირთვული აფეთქებების შესახებ, რომლებიც დღემდე ძალაში არ შესულა. გამოვთქვამთ იმედს, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციის დამოკიდებულების კორექტირების შემდეგ ისინი ძალაში შევა.

საბჭოთა კავშირის აზრით, უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი მიმართულებებით გამალებული შეიარაღების განვითარება. ჩვენ შევთავაზეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას: დაე, შეხვდნენ ერთმანეთს საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები, ამ საქმის სპეციალისტები, და განიხილონ ფართო მასშტაბის რაკეტასაწინააღმდეგო სისტემის შექმნის შესაძლო შედეგები. ჯერჯერობით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პასუხი არ მიგვიღია.

უპირველესი ამოცანაა დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება კოსმოსში ყოველგვარი სახეობის იარაღის განულებადლების შესახებ, რაც წამოაყენა კიდევ საბჭოთა კავშირმა. ჩვენ მზად ვართ უფრო შორსაც წავიდეთ — მოვრიგდეთ იმის შესახებ, რომ აიკრძალოს საერთოდ ძალის გამოყენება როგორც კოსმოსურ სივრცეში, ისე კოსმოსიდან დედამიწის მიმართ.

თანამიმდევრულად იღეწის რა სახელმწიფოთა არსენალებიდან ქიმიური იარაღის გამორიცხვისათვის, სსრ კავშირმა წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი. კარგი იქნება, თუ პარალელურად განხორციელდება ღონისძიებანი, რომლებსაც ამავე მიზნისაკენ მივყავართ, ეკრძალოს კონტინენტის ფარგლებში. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები წინადადებას სახავენ მთლიანად განთავისუფლდეს ევროპა ქიმიური იარაღისაგან.

შექმნილი საერთაშორისო ვითარების რეალობანი მოითხოვს გამოვიჩინოთ განსაკუთრებული თავშეკავება არა მარტო შეიარაღების, სამხედრო პოლიტიკის დარგში, არამედ სახელმწიფოთა ურთიერთობის ყველა სფეროშიც, უწინარეს ყოვლისა მაშინ, როცა ეს ეხება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების ინტერესებს.

სახელმწიფოთა არც ერთ, არც მეორე ჯგუფს — არც მთლიანად მსოფლიოს არ არგებს ის, როცა მათ შორის ურთიერთობაში ხელოვნურად აღვივებენ ანტაგონიზმს, მიმართავენ სხვადასხვაგვარ პროვოკაციებსა და ბინძურ ხერხებს, თესავენ უნდობლობასა და ეჭვს, როცა საჭიროდ არ მიიჩნიეთ სახელმწიფოთა შორის საქმეებში დაიცვან საყოველთაოდ მიღებული კორექტულობის თუნდაც მინიმუმი.

ორატორმა განაცხადა, რომ წინათაც ყოფილან მოღვაწეები, რომლებიც სოციალიზმს ახლო მომავალში დაღუპავს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს წინასწარმეტყველნი სავსებით იმსახურებენ ჩვენი სახელგანთქმული კუკრინიქსების ყალამს. სოციალიზმი ძლიერდება და კვლავაც გაძლიერდება.

ახლა მშვიდობისათვის ზრუნვა ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. ეს ვალია ყველასი, ვინც დაკავშირებულია დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობისაგან მსოფლიო ელის მეტ პასუხისმგებლობასა და კეთილგონიერებას.

ჩვენ გვინდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის მოწესრიგება, რადგან გვახსოვს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა ომის თავიდან აცილებისათვის. ჩვენი რწმენით, ამერიკის შეერთებული შტატები ასევე უნდა ხელმძღვანელობდეს ობიექტური აუცილებლობით იქონიოს ნორმალური კავშირურთიერთობა სსრ კავშირთან. ორივე ქვეყნის საერთო ინტერესებს შეესაბამება ბირთვული კატასტროფის საფრთხის აღმოფხვრა. ამით უაღრესად არიან დაინტერესებული ყველა ხალხი, ყველა კონტინენტის სახელმწიფოები.

ვაფასებთ ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა კავშირს აქვს ისეთ არცთუ შორეულ ქვეყანასთან როგორიცაა კანადა. გამოვთქვამთ იმედს, რომ კანადაც თავის მხრივ ეცდება კვლავაც შეინარჩუნოს და განავითაროს ეს ურთიერთობა.

დასავლეთ ევროპაში ფართოდ გავრცელდა გამწვავებული და სავსებით გასაგები შეგრძნება საფრთხისა, რომელსაც შეიცავს შექმნილი საერთაშორისო ვითარება. საბჭოთა კავშირი გამოთქვამს იმედს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები თავს არ ჩაათრევინებენ გეგმებში, რომლებიც სეროიზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას.

გასული წლის დამლევს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ახალი მთავრობა. მას თავისი, როგორც იტყვიან, ნიუანსები შეაქვს ამ ქვეყნის პოლიტიკაში. ჩვენ მომხრე ვართ იმისა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გაგრძელდეს ურთიერთობა იმავე საფუძველზე, რომელსაც იგი ემყარებოდა მთელი ბოლო წლების მანძილზე, მათ შორის გაფართოვდეს ეკონომიკური კავშირურთიერთობა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი დარგია უშიშროების საკითხები. საბჭოთა კავშირს ეს ქვაკუთხედად მიიჩნია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელ მთავრობასთან კონტაქტებში, კერძოდ, მოლაპარაკებაზე, რომელიც მალე გაიმართება სსრ კავშირში კანცლერ ჰ. კოლის ოფიციალური ვიზიტის დროს.

ჩვენი ქვეყანა ემხრობა კარგ ურთიერთობას, ნაყოფიერ თანამშრომლობას საფრანგეთთან, რომელთან ნაცვალგების საფუძველზეც გაკეთდა ბევრი კარგი საქმე ევროპაში სახელმწიფოთა მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის, აგრეთვე იტალიასთან, ინგლისთან, ესპანეთთან, დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანასთან.

კმაყოფილებით ვაცხადებთ რომ მომხრე ვართ შევინარჩუნოთ და გავაღრმაოთ ურთიერთობა ჩვენს კეთილ მეზობელთან — ფინეთთან. სსრ კავშირში ფინეთის პრეზიდენტის მ. კოიოსტოს ამასწინანდელი ვიზიტის შედეგები, ი. ვ. ანდროპოვთან მისი შეხვედრები და ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 20 წლით განგრძობა კიდევ უფრო მტკიცე საფუძველს უქმნის ორი ქვეყნის ურთიერთობას.

ისევე როგორც წინათ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მეზობელ იაპონიასთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. ორი ქვეყნის ხალხების ინტერესებს, ახლო აღმოსავლეთსა და მთლიანად აზიაში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და იაპონიის კეთილმეზობლური თანამშრომლობა.

მაგრამ ბოლო ხანს მისი ხელმძღვანელობა იხრება სამხედრო პოტენციალის გაძლიერებისაკენ, აატეხიერებს მილიტარისტულ ტენდენციებს ქვეყანაში, უერთდება კონფრონტაციის გლობალურ სტრატეგიას, რომელსაც თავს ანებებენ ვაშინგტონი. თუ ტოკიოში მშვიდობასა და კეთილმეზობლობას აირჩევენ, სსრ კავშირი იაპონიის საამედო პარტნიორი იქნება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში ფართო ურთიერთობის განვითარებაში.

რაც უნდა სხვადასხვაგვარად წარმართოს საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ჩვენ ვახორციელებთ და კვლავაც განვახორციელებთ გეზს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებს ურთიერთობაში გაბატონებული იყოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც სსრ კავშირის საგარეოპოლიტიკური კურსის უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

მსოფლიო პოლიტიკის ავანსცენაზე სულ უფრო მტკიცედ გამოდიან ხალხები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა და სოციალური პროგრესისათვის. არაბების მზარდ წინააღმდეგობას აწყდება ცდები თავს მოახვიონ მათ ანტიარაბული გარიგებანი, წამოაყენონ ახლო აღმოსავლეთში ვითარების მოწესრიგების ისეთი გეგმები, რომლებიც უგუბელყოფენ პალესტინელი ხალხის კანონიერ ინტერესებს. ამ პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ ყველას თვალწინ ჯიჯგნიან ლიბანს, რომ იგი ქვეშეხების მუქარით აიძულეს დაედო კაპიტულანტური შეთანხმებანი ისრაელთან.

ზეგავლენისა და პირდაპირი მუქარის ობიექტად აქცევენ ახლა სირიას, რომელიც აძლიერებს თავდაცვას და პრინციპულ პოლიტიკას ადგას ახლო აღმოსავლეთის საქმეებში.

ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა პოლიტიკური მოწესრიგების სამართლიანი პრინციპები, მათ შორის წინადადება მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხზე. ისინი მოელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი.

ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების გზაზე დაბრკოლებებს ქმნიან ვაშინგტონი და თელავივი. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით არაბულ ქვეყნებზე, აგრესიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ შეკავშირებაზე.

უაზროა ირანისა და ერაყის კონფლიქტი. მისი განგრძობა ხელს აძლევს მხოლოდ იმპერიალისტურ ძალებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ორივე სახელმწიფოს დასუსტებით.

ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერაყთან. მხარს უჭერთ ნორმალურ, მეგობრულ ურთიერთობას ირანთანაც. საბჭოთა კავშირს სურს კვლავაც ხელადგეს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მუდამ ესწრაფვოდა და ესწრაფვის მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. სამწუხაროდ, იმის მაგვანი აქციები, ამას წინათ რომ გამოიყენა ირანის მხარემ ირანში არსებული საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა ჯგუფის მიმართ, სრულიადაც არ ემსახურება ჩვენი ქვეყნების ასეთი ურთიერთობის განვითარების საქმეს. ერთი სიტყვით, სსრ კავშირი იმოქმედებს იმის გათვალისწინებით, სურს თუ არა ირანს გვიპასუხოს ნაცვალგებით და იქონიოს ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა, თუ აქვს რაიმე სხვა ზრახვები.

საბჭოთა კავშირი ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მიერ წამოყენებული იმ პროგრამის სრული მხარდაჭერის პოზიციას ადგას, რომლის მიზანია მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგება. მის საფუძველზე შესაძლებელია მოლაპარაკება ავღანეთის პრობლემის საგარეო ასპექტის საკითხთა გადაწყვეტაზე. სწორედ საგარეო ასპექტის საკითხებზე, რადგან საშინაო საქმეები მხოლოდ თვით ავღანელებმა უნდა გადაწყვიტონ.

ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი, მოუმრობელი სახელმწიფოს — ავღანეთის კეთილი მეგობარი არის და იქნება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაძაბულობის შენელებას აფერხებს ამ რაიონის საქმეებში გარეშე ძალების ჩარევა. სსრ კავშირი სავსებით სოლიდარობრძ ეკადება ინდოჩინეთის ქვეყნების წინადადებებს, რომელთა მიზანია ვითარების ნორმალიზაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მისი გადაქცევა მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ზონად.

სულ უფრო ფართოდ აჩაღებს ამერიკის შეერთებული შტატები მუქარისა და უხეში ზეგავლენის კამპანიას ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის რაიონის სუვერენულ სახელმწიფოთა და ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებს თავი უნდა დაანებონ, ხოლო მათს საშინაო საქმეებში გარედან ჩარევა უნდა შეწყდეს.

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა სამხრეთ აფრიკაში. მშვიდობის ინტერესები მოითხოვს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ შეწყვიტოს აგრესია მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, გაიყვანოს თავისი ჯარები ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან, რათა შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ნამიბიის ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რათა ბოლო მოეღოს ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის რასიზმი და აპარტეიდის სისტემა.

დღესაც ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიგვიჩნია მხარი დაეჭიროთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, მსოფლიოს ამ რაიონების ქვეყნებს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის განმტკიცებათვის ბრძოლას.

საბჭოთა კავშირი მიესალმება იმას, რომ საერთაშორისო საქმეებში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ მეუმხრობლობის მოძრაობის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც სულ უფრო აქტიურად მოქმედებენ ანტიიმპერიალისტური და ომის საწინააღმდეგო პოზიციებიდან, რასაც მოწმობს ახლახან ამ ქვეყნების დელეგი გამართული ფორუმის შედეგები.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესისათვის განვითარებადი სახელმწიფოების ბრძოლას.

მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიცაა ინდოეთი, რომელთანაც თანამშრომლობა ხელს უწყობს აზიაში სტაბილურობას, საყოველთაო მშვიდობას. ამას ორივე მხარე აფასებს.

მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებები გვაქვს დადებული ბევრ მეუმხრობელ სახელმწიფოსთან, რაც მათთან ჩვენი ურთიერთობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. იმ მეუმხრობელ ქვეყნებს შორის, რომლებთანაც სსრ კავშირს კეთილი ურთიერთობა აქვს, უნდა დავასახელოთ ისეთები, როგორიც არის სირია, ალჟირი, სამხრეთ იემენი, ლიბია, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი, კონგოს სახალხო რესპუბლიკა.

ფართო პოლიტიკური სპექტრის სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის მაღალი ავტორიტეტის აღიარებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება გადაწყდეს და არც წყდება პრაქტიკულად მსოფლიო პოლიტიკის არც ერთი სერიოზული საკითხი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცეა. აგერ უკვე თითქმის ოთხი ათწლეულია მშვიდობის პირობებში ვცხოვრობთ. ეს ჩვენი პარტიისა და ქვეყნის საერთაშორისო საქმიანობის, მათი ლენინური საგარეო პოლიტიკის უდიდესი მიღწევაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, განაცხადა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა დაიცვან ქვეყანად მშვიდობა. და ყველას, ვინც ამ დიადი და კეთილშობილური საქმისათვის იბრძვის, შუდამ მხარში ამოუდგება საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი. **(ხანგრძლივი ტაში).**

(საკდესი).

იბეჭდება შემოკლებით, მოხსენების სრული ტექსტი ქვეყნდება გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტიაში“.

მშვიდობისათვის, ხალხის ინტერესებისათვის

(დასასრული)

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ე. პოლიაკოვმა** ხაზი გაუსვა, რომ მოხსენებაში პასუხი აქვს გაცემული უმწვავეს საკითხებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს აწუხებს.

საბჭოთა ადამიანები, თქვა შემდეგ ორატორმა, ერთნაირად არიან შეშფოთებული ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა და მათ მოკავშირეთა იმ უგუნური მისწრაფების გამო, რომ რაკეტულ-ბირთვული კატასტროფის ზღვარზე დააყენონ მსოფლიო.

ომი შეუთავსებელია კომუნიზმის იდეალებთან. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბელორუსიის მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყველა პრაქტიკულ ღონისძიებას, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ სამშვიდობო ინიციატივებს.

ტრიბუნაზეა ვოროშილოვგრადის ოლქის „როვენკიანტრაციტის“ საწარმოო გაერთიანების კოსმონავტთა სახელობის მაღაროთსამმართველოს საწმენდი სანგრევის მეშახტეთა ბრიგადირი, დეპუტატი **გ. ი. მოცაკი.** კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, თქვა მან, ემსახურება მშრომელ ადამიანებს და მშვიდობიანი ხასიათისაა. ცხოვრებისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენში ყველა საჭირო პირობაა შექმნილი. ეს ბედნიერებაა. მაგრამ იგი თავისთავად არ მოსულა. მძიმე ბრძოლით არის მოპოვებული.

მეთერთმეტე ხუთწლედში მაღაროელები, თქვა შემდეგ ორატორმა, დამკვრელურად მუშაობენ. წარმატების საწინდარი ადამიანები არიან. წლითიწლობით უმჯობესდება მათი კეთილდღეობა, მაღლდება კულტურა. ჩვენ ვცხოვრობთ მუშური სინდისისა და ღირსების კახონებით. ჩვენში არ არის სიზარმაცე, შოშეებულობა. მიგვაჩნია, რომ დისციპლინის, ორგანიზებულობის შემდგომი განმტკიცება მეტის მიღწევის შესაძლებლობას მოგვცემს. რაც უფრო ნაყოფიერი იქნება შრომა, მით უფრო მტკიცე იქნება ეკონომიკა, მით უფრო საიმედო იქნება მშვიდობა ქვეყანად.

საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება რეიგანის ადმინისტრაციას, აღნიშნა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დეპუტატმა **პ. პ. გრიშკევიჩუსმა.** ახალი ანტიკომუნისტური ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორები ნიადაგ ცდილობენ სოციალიზმის სამყაროს ელაპარაკონ ძალის პოზიციიდან, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ ისტორიის გაკვეთილებს.

ამერიკის ახლანდელმა ადმინისტრაციამ თავის დამქაშებთან ერთად გააჩაღა ჩვენი ქვეყნისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მიმართ სიცრუისა და ცილისწამების უპრეცედენტო კამპანია.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, თქვა შემდეგ დეპუტატმა, საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს მოსახლეობის ყველა ფენის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებისათვის, სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობათა ჩვენების, გაუმჯობესების, კონტრპროპაგანდისტული

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲔᲜ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს, უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხაზგასმით აღნიშნავენ მათს ისტორიულ მნიშვნელობას. მსოფლიოში ცხოველი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ანდროპოვის სიტყვამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ჩერნენკოს მოხსენებამ, პლენუმის მიერ მიღებულმა დადგენილებამ.

კომენტარებში აღნიშნავენ, რომ პლენუმმა ცხადყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იმ კურსის ურყეობა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კულტურის ამაღლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, მშვიდობის შენარჩუნებას, თერმობირთვული ომის თავიდან აცილებას.

საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდეს მოვლენას უწოდებს პლენუმს **ბულგარეთის რადიო.** მისი შედეგები და დასკვნები, ნათქვამია რადიოს კომენტარში, ხანგრძლივი დროის მანძილზე მოახდენს გავლენას სსრ კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაზე, როგორც ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, სოციალიზმის ქვეყნები და მათი პოლიტიკა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, წერს **ბერლინის „ნეიეს დოიჩლანდი“**, ყოველისმომცველად განხილულის იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი საკითხები. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი პარტნიორები საშიშ კურსს ადგანან, როცა ისინი ცდილობენ ხელი შეუშალონ პროგრესულ განრდაქმნებს ხალხთა ცხოვრებაში, დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. სოციალიზმი განაგრძობს თავის მშვიდობიან შეტევას.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს **ჩეხოსლოვაკიის** ტელევიზია, კვლავაც საკადრის პასუხს გასცემს ყალბ ძირგამომთხრელ იმპერიალისტურ პროპაგანდას. საბჭოთა კავშირი არ არის სამხედრო სფეროში შეჯიბრების მომხრე, რომელსაც მას თავს ახვევს იმპერიალიზმი. მისი მიზანია არა უბრალოდ ომის თავიდან აცილება. საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ვითარების ძირეულ გაჯანსაღებას ესწრაფვის.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს **ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საინფორმაციო სააგენტო,** განაცხადა, რომ თუ მოვაგონრებთ ორივე მხარის შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების დონის შემცირებას, განიარაღების დაწყებას, ეს ყველა ქვეყნისა და ხალხისთვის უდიდესი სიკეთე იქნება.

მან ამავე დროს განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი არ დაუშვებს სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის მიღწეული სამხედრო სტრატეგიული წონასწორობის დარღვევას.

მეორე **ამერიკული სააგენტო ასოშიეიტედ პრესი** წერს: საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ იგი მომავალშიც ყველა ღონეს იხმარს, რათა უზრუნველყოს თავისი ქვეყნის, თავისი მეგობრებისა და მოკავშირეების უშიშროება, გაზარდოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერება. ამავე დროს გენერალურმა მდივანმა ანდროპოვმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ნაგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. მან თქვა, რომ სსრ კავშირი დასავლეთთან დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნების მომხრეა.

განმარტავს რა ამხანაგ ჩერნენკოს მოხსენებას, **ინგლისის „ტაიმსი“** აღნიშნავს, რომ სსრ კავშირმა კვლავ დაამტკიცა თავისი ერთგულება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი.

რეიტერის სააგენტო მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციაში წერს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ყურადღება გაამახვილა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულობის მკვეთრ გაძლიერებაზე. მაგრამ, მისი აზრით, დღევანდელ კაპიტალისტურ სამყაროში არიან სხვა პოლიტიკოსებიც, რომლებიც უფრო რეალისტურად აფასებენ საერთაშორისო მდგომარეობას. მოსკოვი, დასძენს კორესპონდენციის ავტორი, აქტიურად ესწრაფვის განიარაღების შესახებ დასავლეთთან შეთანხმების მიღწევას.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘᲐ. ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის პრობლემა კვლავ ერთ-ერთი **ცენტრალური პრობლემაა განიარაღების კომიტეტის აქ განსახილებული სესიის დღის წესრიგში.**

შვეიცის დელეგაციამ კომიტეტში შეიტანა ყველა გარემოში ბირთვული იარაღის ყოველგვარი გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების პროექტი. ეს პროექტი ითვალისწინებს მონაწილეთა ვალდებულებას არ მოაწყონ ბირთვული იარაღის არავითარი გამოცდა არც ერთ გარემოში. აგრეთვე დაიწესონ მორატორიუმი მშვიდობიანი მიზნით ბირთვული აფეთქებების მოწყობაზე სანამ შეიქმნებოდეს ისეთი საერთაშორისო წესი, რომელიც უზრუნველყოფს მათს მოწყობას არადისკრიმინაციულ საფუძველზე და გამორიცხავს სამხედრო უპირატესობის მიღების შესაძლებლობას. ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს ხელშეკრულების დაცვისადმი კონტროლის მექანიზმს, რომლის საფუძველი იქნება შემოწმების ეროვნულ და საერთაშორისო საშუალებათა შეხამება.

„ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც რომელიმე სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას ბირთვული იარაღის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სერიოზული მოლაპარაკების გამართვაზე, — თქვა შვეიცის წარმომადგენელმა, — იქნება მისი განზრახვა, განაგრძოს ბირთვული გამოცდა და შემუშავება მსოფლიოს ხალხთა ნების წინააღმდეგ“. ამასთან დაკავშირებით მან დაუწუნა პოზიცია ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ხელშეკრულების დადებას მიიჩნევს მხოლოდ და მხოლოდ ბირთვული განიარაღების პროცესის „გრძელვადიან მიზნად“.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ

ᲙᲚᲐᲕᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠ იქნა და არ დაადგა სამეცნიერო გამოკვლევებს, ყოველდღე ზომიერობენ ცაზე საავდროდ შეყრილი ღრუბლები — ერთმანეთს ეხეთქებიან და რისხვით ემუქრებიან მეურნის ნაამაგარს. ... იყო და, ბზინარა წვიმებმა არ მისცა გასაქანი კახელ მევენახეს წესიერად მიეხედა ზვრებისათვის, უამინდობამ საგრძნობლად შეაფერხა ვენახის სამუშაოები. მაგრამ ამას კიდევ მოუვლიდა ბუნების ჭირვეულობასთან ბრძოლაში გამოწრთობილი მევენახე, რომ ვაზის უანრეულესი მტერი — სეტყვა და ქარიშხალი ასე არ გაბრძენებულიყო.

გასულ კვირა დღეს საღამოს სტიქიური უბედურება თელავის რაიონს ზვრებსაც დაატყდა თავს, სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში გაანადგურა მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარი 625 ჰექტარ ფართობზე, დაიკარგა 1.500 ტონამდე ყურძენი, 112 ტონაზე მეტი ბოსტეულეული, 7 ჰექტარზე განადგურდა ლობიოს ნათესი, 10 ჰექტარზე დაზიანდა სიმეწიფეში შესული საშემოდგომო ქერის ნათესები.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ცნობით, ზვრები 391 ჰექტარზე 20-30 პროცენტით დაზიანდა, 80 ჰექტარზე — 30-40 პროცენტით, 135 ჰექტარზე — 50-60 პროცენტით, 20 ჰექტარზე — 60-70 პროცენტით. ეს ზარალი ძირითადად კურდღელაურის, ვარდისუბნის, კისისხევის, გულგულისა და შალაურის საზოგადოებრივი მეურნეობების წილად მოდის.

— საერთოდ ჩვენს კოლმეურნეობაში მუშახელი ჭირს, — ამბობს სეტყვისგან ყველაზე უფრო მეტად დაზარალებული კურდღელაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი მახათელაშვილი. — მაგრამ ახლა დიდი და პატარა ვაზისა და მოსავლის გადასარჩენად არის გამოსული. არც მხარში ამოდგომა მოგვკლებია. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩვენს დასახმარებლად მოვიდნენ რაიონის საწარმო-დაწესებულებათა შრომითი კოლექტივები. მარტო ის რად ღირს, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონების მშრომელებმა საქვეყნოდ განაცხადეს „მევენახეთა ზარალს ჩვენ ავანახლებთო“. ჩვენ მარტონი არა ვართ და იმედის გადაწურვაც შორს არის ჩვენგან, თანადგომისათვის მადლობის მეტი რა გვეთქმის.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ არმიისა და ხამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ლიტერატურულ - სამხატვრო ჟურნალმა „სოვეტსკი ვოინამ“ მე-10 ნომერში რუბრიკით „ერთიან ოჯახში“ დიდი ადგილი დაუთმო საქართველოსადმი მიძღვნილ მასალებს. ამ მასალების წამყვანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ნ. ენუქიძის სტატია „ძმობის ხიდები“.

მკითხველი გაეცნობა გ. პისკარიოვის ნარკვევს „ომწოდება“, რომელიც ეძღვნება ცნობილ წალენჯიხელ მეჩაიე მექანიზატორს მზია ქარდავას. აქვე გამოქვეყნებულია ა. მირცხულავას, კ. ბობოხიძის, ს. ერთაწმინდელის და ს. მხარგრძელის ლექსები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტთან ვერიკო ანჯაფარიძესთან ვრცელი საუბრის ავტორია ა. ანდრეევი. საუბარს ახლავს ქ. მაღალაშვილის მიერ შესრულებული გამოჩენილი მსახიობის პორტრეტის რეპროდუქცია.

ნომერშია ინფორმაციები „საქართველოს მეცნიერები — სახალხო მეურნეობას“.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1469“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1469“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

● ᲐᲨᲨ

ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. რ. რეიგანის ადმინისტრაციის მხრივ მახირებული ზეგავლენის შედეგად კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უარყო შესწორება, რომელიც ითვალისწინებდა პენტაგონის ბიუჯეტიდან თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის შესაქმნელად გამონაზულ ასიგნებათა ამოღებას. ამით ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს თეთრი სახლის მიერ გამოცხადებულ კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებს. როგორც ცნობილია, ოფიციალური ვაშინგტონის მიერ შემუშავებული „რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოსმოსური სისტემის“ შექმნის დოქტრინა თვალისწინებს უახლოეს დროში დედამიწისახლო ორბიტაზე სპეციალური საბრძოლო სისტემის გაყვანას თანამგზავრების მოსასპობად. თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის პირველი ნიმუშის შესაქმნელად პენტაგონმა მოითხოვა 19,4 მილიონი დოლარი.

● ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ. შეწყდა აქ მიმდინარე მოლაპარაკება საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების მომავალი ბედის შესახებ. როგორც საბერძნეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დ. მარუდასმა განაცხადა, ეს გამოიწვია მხარეებს შორის სერიოზულმა უთანხმოებამ.

რამდენიმე დღის წინათ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ა. პაპანდრეუმ მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ, თუ უახლოეს დროში შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეცემა 12-18 თვე საბერძნეთში ამერიკული ბაზების სალიკვიდაციოდ.

● ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ

ᲯᲐᲠᲗᲐ. ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერ-ქალბატონ ინდირა განდის ბრალდებულ-ბრალმდებელ ადვოკატ-ქალ ალკა ჯაინის ინიციატივით ინდოეთის ეროვნული კონგრესის ორგანოებში ... ...

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲝᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲝᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ. ᲐᲛ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲫᲚᲘᲐᲠ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲠᲢᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲚᲩᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. თუ გავითვალისწინებთ ᲐᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲗᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲚᲝᲚᲝᲑᲐ — 73.70. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐ ᲥᲣᲚᲐ ᲨᲔᲡᲘᲫᲜᲐ 6. ᲓᲔᲠᲘᲣᲒᲘᲜᲘᲐ — 34.

ᲐᲛ ᲔᲠᲗᲝᲠᲗᲝ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ